ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**დადგენილება №11**

2015 წლის 29 მაისი

ქ. ქობულეთი

**,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა სახეობების (რომელთა განთავსება /მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე იქნება შესაძლებელი ) და პირობების განსაზღვრის შესახებ"ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 3 სექტემბრის №11 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს,**

**მუხლი 1.**

შევიდეს ცვლილება ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა სახეობების (რომელთა განთავსება /მშენებლობა მშენებლობის ნებართვის გარეშე იქნება შესაძლებელი ) და პირობების განსაზღვრის შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 3 სექტემბრის N11 დადგენილებაში, დადგენილების მე-2 მუხლს დაემატოს ,,დ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით განისაზღვროს I კლასს დაქვემდებარებული შენობის განთავსება/მშენებლობა (რომელიც არ უნდა იყოს მყარად დაკავშირებული გრუნტთან და მარტივად მოხდეს შენობა-ნაგებობის მონტაჟი/დემონტაჟი, განთავსება) მშენებლობის ნებართვის პროცედურის გარეშე 01 ივნისიდან 15 ოქტომბრამდე. ამავე მუხლის ა), ბ) და გ) ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ტერიტორიებზე".

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **ს.ოქროპირიძე**